

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიში

(2018 წლის 10 დეკემბრიდან 2019 წლის 10 დეკემბრამდე)

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

სააგენტოში შემოსული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მონაცემებით, 2018 წლის 10 დეკემბრიდან 2019 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში შემოსულია 08 განცხადება, პასუხი გაცემულია 08 განცხადებაზე.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას და შესაბამისად მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ადგილი არ ჰქონია.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

2019 წლის 29 ოქტომბრიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი თინათინ გეგენავა (ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის მაია მახარაძის არყოფნის დროს - 2019 წლის 25 ოქტომბრიდან - 2020 წლის 22 აპრილამდე, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება Nკ-01/344; 29.10.2019)

2013 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი (სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №160; 01.11.2013 წ.)

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, 2019 წლის 06 დეკემბრიდან, სააგენტოს დირექტორის Nკ-01/388 ბრძანების შესაბამისად, იღებს სსიპ

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს წამყვანი იურისტი სალომე მამულაიშვილი.

ამასთან გაცნობებთ, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაკმაყოფილდა 08 განცხადება, უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

სააგენტოში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს), რის შედეგადაც აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ამასთან, სააგენტოს გააჩნია საცავი და არქივი მეზღვაურთა პირადი საქმეების შესანახად სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს „საქმისწარმოების ინსტრუქციით“ გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიმართ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2019 წლის 15 აპრილის №1/126/2019 გადაწყვეტილებით, ზ. ვადაჭკორიას საჩივართან დაკშირებით, გამოიცა სამართალდარღვევათა ოქმი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება და სააგენტოს დაეკისრა ორგანიზაციულ-ტექნიკური ბაზის მიღება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მეზღვაურთა დოკუმენტბრუნვის მართვის სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.

შესაბამისად, 2019 წელს ადგილი ჰქონდა ერთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, თუმცა, სააგენტომ შეასრულა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის №1/126/2019 გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება და სააგენტო უზრუნველყოფს მეზღვაურთა დოკუმენტბრუნვის მართვის სისტემაში დაცული პერსონალური მონაცემების ძებნისა და დათვალიერების ოპერაციათა აღრიცხვას. აღნიშნულის შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატს ეცნობა 2019 წლის 05 სექტემბერს N07/2603 წერილით.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას :

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე :

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ :

ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.